საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №66
2021 წლის 12 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 25/04/2018, 140030000.22.034.016745) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ქვეპუნქტი:

„დ^{1}) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობას და ვიდეომეთვალყურეობის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას;“.

2. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{1}) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას;“.

3. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რეგიონული მთავარი სამმართველოები, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ წინამდებარე დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ^{1}“ ქვეპუნქტით, მე-9 მუხლით (გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა) და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ და „თ“-„მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **ვახტანგ გომელაური**